



მისალბ გემოსლეზე

- გრამატკაში ნათესაობითი ბრუნვის იმედი მაქვს...
- ეჰ, მე მიცემითმაც ვერაფერი მიშველა, ნათესაობითმა რა უნდა ვაგვიკეთოს!



ბიბლიოთეკის მფლობელი

რავო ვერ გავიგებოვარ მოსკოვს

ჩემი უსიამოვნება აბანოდან დაიწყო. როცა ადამის კოსტიუმში „გამოწყობას“ ვაპირებდით, ჩემმა ნაცნობმა აბრეშუმის მაისურა-ბადე და ნაზი შეფერილობის კუბოკრული წინდები გაიხადა, ვკითხე—სად იყიდებთ? გაპირებდა, რომ თბილისელთათვის იშვიათი სანახავი ეს ორი ნივთი ჩემს ნაცნობს მოსკოვში შეუძენია. უნებურად შევნატრე იმ ადამიანებს, რომლებსაც მოსკოვს მგზავრობა ჩემსავით არ ეძნელებათ.

შინ რომ მივედი, უცებ ცოლის დისწული მეუბნება:

— ბიძია იროდი, დედან შემოგიტოვალა, მოსკოვიდან რომ ბრუნდებოდე, ნავთქურა წამომიძღვანეო. მეც ერთ მოსკოვეურ ჩანთას თუ ჩამომიტან, ძალიან დამავალბებ! თუ არა ახლავე მოგცემ...

თვალეზღაპრული მივაჩერდი ატოკტიკებულ ქალიშვილს. ის თითქოს ჩემ გულში იჯდა და იმას მიწინასწარმეტყველებდა, რაც მენატრებოდა. გაკვირვებიდან ცოლმა გამომიყვანა; თურმე, ჩემს შინ არყოფნის დროს საქმე ისე დატრიალებულა, რომ ჩემი მოსკოვში გამგზავრება აუცილებელი გამხდარა. დაეტრიალდი. შევეუდექი მზადებას. სალამოს ძმისშვილი განომეცხადა.

— ბიძია იროდი, მოსკოვიდან ფეხსაცმლის თასმას არ ჩამომიტან?

— რამ გადაგრაია, ბიჭო?!

— არ დამიჯერებ, ბიძია იროდი, მაგრამ, ბიცოლაჩემს ველარ გადავრჩი: რამდენჯერაც ვიყიდე ჩვენს არტელეზში მოქსოვილი თასმა, იმდენჯერ ბიცოლაჩემმა წამართვა—სოფელში მიაქვს და ძროხის დასაბმელად იყენებს!..

გავჩუმდი. უცებ ოთახში შემოსული ნათესავების შეკვეთები შემომქსმა.

— შენს გახარებას, ნუ დაიზარებ და მოსკოვიდან ხორცის საკები მანქანა ჩამომიტანე!—მეუბნება ცოლის მამიდა.

— ერთი კარგი „ბალტიკა“ წამოიღე.—დასძენს ცოლის ბიძაშვილი.

— თუ კაცი ხარ, ფეხსაცმელი უნდა ჩამომიტანო, 44 ნომერი.

— კაცო, შენ ხომ იმ არტელეზში მუშაობ, სადაც ფეხსაცმელებს კერავენ!—გოცებით შევეკითხე სტუმარს, რომელიც ერთ-ერთი არტელის მთავებუხია.

— რას ამბობ, კაცო? ჩემს არტელეზში შეკერილი ფეხსაცმელი ჩავიცვა! ერთიც ვნახოთ, დაუშვა წვიმა, ხომ დაგრაჩი ფეხშიშველი!..

მეორე დღეს ყველამ ერთად მოიყარა თავი და სია შეადგინეს, ვისთვის რა ნივთი უნდა ჩამომეტანა მოსკოვიდან (ჩემი გულმავიწყობისა ეშინოდათ. ან რა ტვინი ჩაიტედა ამდენ ნივთს!) არ იფიქროთ ვაქარბებდე: უმდიდრესი თავადის ქალის მზითვის სია ამ სიასთან შედარებით სათქმელი არ იყო. წინდები და აბრეშუმის მაისურები, ქალის წინდები და წინდების საჭერი რეზინები, ქიქები, სხვადასხვა ჭურჭლეულობა, ქალისა და მამაკაცის ხელთათმანები, ქალის საცვლები, ფეხსაცმლის თასმები, ცხვირსა-

ხოცები (ორივე სქესისათვის!), ჩინური ქოლგები, პალსტუხები, სამართებლები, ავტოკალმები, ხაზმელანი და ხაზმელნის კალამი, საწერი ქალაღლები და მხატვრული კონვერტები, საოჯახო ბამბა, „ბახრამა“ და სპორტული ჩუსტები, კეროვაზები, ნავთქურები და ნავთქურის პატრუქები, ვანილი, ლილა, ამომრთველი და გადამრთველი, შტეფსელი, შტეფსელის ჩანჯლები, ელექტროსადენი, ვენტილატორები და მოზარდათა ველსიპედები, ხორცის საკები და საკერავი მანქანები, რადიომიმღებები, მაცივრები და სხვა მსხვილმანი და წვილმანი ნივთი... ერთი სიტყვით, სიას რომ დავხედე, თვალთ დანიბნელდა.

... და მიინც უარი ვერავის ვუთხარ. ან როგორ მეტქვა უარი, როცა ყველა ისეთ საგანს მთხოვდა, რომელიც თბილისში ან სულ არ იშვებოდა, ან ძალიან ბევრია, მაგრამ მდარე ხარისხის გამო მყიდველები ზედაც არ უყურებენ. წარმოვიდგინე ყველა ეს ნივთი ერთად შეკრული და მივხედი, რომ არათუ ჩემი ორი ჩემოდანი, მათ წამოსაღებად ორი ცარიელი ვაგონიც არ მეყოფოდა.

და როცა რკინიგზის სადგურის მოლარეს აკანკალებული ხელით დაეუბრუნე წინდაწინ ნაყიდი ბილეთი, იმდენად მოსკოვში წაუსვლელობას არ ვდარდობდი, რამდენადაც მაწუხებდა ფიქრი იმაზე—იცოდნენ თუ არა ჩემმა ნაცნობ-ნათესავ-მეგობრებმა, ვის მიზეზით ვერ გავემგზავრე მოსკოვს? გულალრენილმა. ეს ამბავი ჩემს ძველ ნაცნობს ვუამბე. მითხრა: სწორად არ მოქცეულხარო. შენს ადგილას იმ სიას საქონიერვაჭრობის თბილვაჭრობის, თბილუნევერმალის, სარეწაო საბჭოსა და მათი მალაზიების, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებს მივართმევდიო.

აფსუს, რა ცუდ დროს დამიხვეია ის სია!

გიორგი ჯიფხაძე

პური —(ზოგიერთი მტის-ის მუშაკებს)—ჭაიტ, თქვე უქნარებო! უსათუოდ გამომცხვარი უნდა ვიყო, რომ ამიღოთ?!



არის შემთხვევები, როცა უმალესდამთავრებული ახალგაზრდები თავს არიდებენ რაიონებში სამუშაოდ წასვლას, უსაქმურად დადიან თბილისში და მშობლების ხარჯზე ცხოვრობენ.



მინიანების ანინანები

ნინანების პინეტუნიკა

მკაცრი რეცენზია

„მინიანი“

ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა გამოფენაზე გამოაფინა დიდი ზომის სურათი: „ვახტანგ გორგასალი თბილისის მიდამოებში ნადირობისას“. პროფესიული ოსტატობით შესრულებული ტილო კომპოზიციურად ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი. ამიტომ მნახველთა საერთო მოწონება დაიმსახურა და მსჯელობის საგნად იქცა.

მხატვარი გახარებული იყო ასეთი წარმატებისა გამო, მაგრამ ერთმა პატარა წერილმა, რომელიც ბინაზე მიუტანა ფოსტალიონმა, გული მოუკლა და სიხარული გაუნახევრა: „თქვენს სურათში ნადირობაა დახატული, — ეწერა ბარათში, — დაკრილი ფრინველიც, თუ არ ვცდებით, ხოხობი უნდა იყოს. ზოხობზე ნადირობა კი სასტიკად აკრძალულია (ეს უნდა გცოდნოდეთ ანხელა კაცს). ან თქვენ გადაიხადეთ ჯარიმა, ან შეგვატყობინეთ ვახტანგ გორგასალის ბინის მისამართი. „მონკავშირის გამგეობა“

ისტორია მოკლევადიანი

თვალსაჩინო ხელსაწყობთა სახელოსნოს დამზადებული გლობუსები მალაზიამ უკან დააბრუნა, რადგან თვით მალაზიას დაუბრუნეს უკან მყიდველებმა.

— ცუდადაა გაკეთებული, არ ბრუნავს, არ ტრიალებს, — ჩიოდნენ მოსწავლეები.

ეს საჩივარი, თქვენც გეცოდინებთ, სიტყვისიტყვით ჩაიწერა სათანადო აქტში და სახელოსნოს დირექტორისთვისაც ცნობილი გაქდა.

— მართალია, არ ტრიალებს! — აღიარა მან, მაგრამ როგორც კი წუნმდებლები თვალს მიეფარნენ, დირექტორს უეცრად გაახსენდა კარგი მუშაობისათვის შეპირებული პრემია და თავგანწირვით წამოიძახა:

— მაინც ბრუნავს, მაინც ტრიალებს!
რა იცოდა მან, რომ გალილეისგან დამოუკიდებლად მივიდა ამ დასკვნამდე.

ედ. ყიფიანი

მთელი დღე უგუნებოდ იყო შტატმრავალი დაწესებულების უფროსი, სულ ბუზღუნებდა, ილანდებოდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. თვის ბოლოს დაგროვილი საქმე ნერვებს უშლიდა ხოლმე. უფროსის განწყობილება ყველა საშტატო ერთეულზე გავრცელებულიყო. თანამშრომლების ჯგუფი მის მაგიდას არ სცილდებოდა. ამ „კეთილისმყოფელს“ სურდათ რითიმე ესიამოვნებინათ უგუნებობით შეპყრობილი შეფისათვის. უფროსმა უცებ თავი აიღო, ხელები გაასავსავა და ესლა აღნოხდა:

— რა ვუყო ამდენ საქმეს!
— ჩვენ დაგეხმარებით, — გაისმა კაბინეტის კუთხიდან შემპარავი ხმა.

— ჩვენც აქა ვართ, — გაჩაღდა უფროსის პატივისმცენელთა კონკურენცია.

— როგორმე, თქვენი სურვილის გარეშეც გამოგიყენებდით, რომ პირადად ჩემი გასაკეთებელი არ იყოს ეს საქმე! — წაწოძახა უფროსმა. — ეგპ, რა შოვანებრო, ღმერთბანი აღარ ვიცი. სამინისტროშიც არ ავსულვარ რანდენი ხანია...

— ახლავე გავიციევი, ბატონო! — მოისმა ისევ კუთხიდან.
— ეს საქმეა? დილიდან ქალაქებში ვარ ჩაფლული, საუზმის საქმელადაც ვერ წავსულვარ.

— ჩვენ წავალთ, ბატონო! — ანგარიშმიუცემლად წამოიძახეს კარებთან ატუხულმა „ფინიებმა“.

კაბინეტის კაცი

წასვლისას ექიმმა რჩევა მისცა:
— ეს დღედაღამ ოთახში ჯდომის ბრალია, თქვენთვის აუცილებელია პაერზე ყოფნა, ბუნების წიაღში, ზღვაზე, პალმებში და კვიპაროსებში.

ექიმის გასვლის შემდეგ კედლის საათმა სამჯერ დარეკა. ის კი იჯდა გაუნძრევლად და, საგონებელში ჩავარდნილი, ფიქრობდა, რომ ცუდად იყო მართლაც მისი ჯანმრთელობის საქმე, ამ ოთახში გამოიხარა კაცი, სანთლის ფერი დაედო... ეგპ, ნუთუ ხსნა არ არის! — ჩაილაპარაკა და უცებ შუბლი გაეხსნა, სახე გაებადრა, თვალეები სიხარულით გაუბრწყინდა, ზარი დარეკა და პირადი მდივანი იხმო.

— ახლავე შეიძინეთ პალმები და კვიპაროსები თავის ქოთნებიანად, შემოიტანეთ ჩემს ოთახში, ადგილი არ დარჩეს კაბინეტში გაუმწვანებელი! — გასცა ბრძანება და შვებით ამოისუნთქა.

გ. ნიწინიანი



მეგობრებო ჩვენი მოგონებები



ეს არის ვეფხვი, ცხოველია კლასიფიკაციის დროს გამოჩენილია მეგობრებს დარგინა იგი კატების ოჯახშია შუიფავსა.

პუკიანი კაცო უფილია... ახა, ჩემხაიო, ნაკეთარ ოჯახში ხომ არ შუიფავდა?

უსპოთის იპოვრი

ტრაგიკული როლები შემსრულებელი ცნობილი პოლიმელი მსახიობი...

ერთხელ ნიუტონი პარლამენტში აირჩიეს. ორატორთა უფრულ მოსხ...

ეს მონოლოგი არ უფილია... უსახესა მსახიობნი... მე ასამულ დავიფ...

ეს იყო პარლამენტში წარმოთქმული ერთადერთი სიტყვა ნიუტონის...

„მოდლოფო შირა“

„ტექნიკა მოლოდიოფი“

ზაფხულის მოხალისეთა მთავარი ჯგუფებიც უფრო მოკლეა...

ფეხები ჩვენი წინააღმდეგობის გამაძლიერებელია...

ეს სასულიერო სახსლები ხომ არ ახარებს წინააღმდეგობა...

მეგობრებო, ჩვენი მოგონებები... მეგობრებო, ჩვენი მოგონებები...

— უთხრე კი არა, სესიულო ბინაა ჩემს განკარგულებას, მეგობრებო...

— და, ჩემი სიყვარული! — შეიცვალა ბოლოს გოგონამ და ორჯერ...

— ორი თვე იტყვი, რაც დღედაღამე გაგზავნივარ...

— ორი თვე იტყვი, რაც დღედაღამე გაგზავნივარ...

— ეს წელი შენთვის... — უთხრა მან...

— მეგობრებო, ჩვენი მოგონებები... მეგობრებო, ჩვენი მოგონებები...

— ვიღაცები, ახლობნი — ამბობდა ქალს და მოიჭიბო დაყო...

— მეგობრებო, ჩვენი მოგონებები... მეგობრებო, ჩვენი მოგონებები...




— მეგობრებო, ჩვენი მოგონებები... მეგობრებო, ჩვენი მოგონებები...

ნაწ. 4. ლექსები



— გავრიო! — კინებოდი შეიღო. — მამის სახელი! — ხილხისბროსი მამა ხარ...

„ნიანგის“ დავსიკონი მეუფის მიღე... მეუფის მიუხედავად ვაფიქრებდი ხიდი ცოლქმარს შორის...



უფიქრო ხუმრობა ვიგლა ფარცხალავსა.

1 ეს განმარტება მოვალდებულად დიდილოფორ მეგობრებთანა დღედაღამე, ჩასიფიკაციის მადლობას ვუცხადებ.

2 თუ ვინმე დაიბნა, თუ სხვა რამ მიზეზის გამო, ვთხოვთ მისი გვარი არ გვეჩვენებინა, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ.

ინტელექტუალი

დარიგება მორკ. როგორ უნდა მოუარო თანამდებობას

სკამიდან ადვილი? ხელი მოკიდე, თორემ გამოვაცლიან და წაიქცევი.

ენუქას პრაქტიკიდან

ადგილის დედა ავტორიტეტი. ავტორიტეტს ჰქუა ჰქმნის. საქმელი რომ დაინახო, უცებ არ ეცე. შეიძლება ცუდად იმოქმედოს და საექიმოდ პროკურატურაში მოხვდეს. ჰამას ნელ-ნელა შეეწყვე და გახსოვდეს, რომ შენი ჰამა სხვას არ გააძღობს. მანამდე კიტრს ხელი არ ახლო, ვიდრე შენს მფარველს პამიდორს არ მიართმევ.

წინწაწეული ზევით მარტო იმიტომ კი არ იყურება, რომ იბრანქება. მფარველს შეპყურებს. ვინც წაგწია, „დაგწია“ შეუძლია.

ისე უნდა აიფხორო, ინდაურმა „პაპა“ დაგიძახოს. სალამის მიუცემლობა რომ უხერხული არ გახდეს, ჰუჩაში შემხვედრ ნაცნობს თვალი აარიდე.

დიდ თანამდებობაზე რაც უფრო პატარა მოხვდები, მით მეტი თავდაჭერა დაგჭირდება. პატარასათვის მეტი ავტორიტეტი საჭირო, რადგან წინ დიდი გზაა.

ავტორიტეტი და კაბინეტი განუყრელი ძმები არიან.

თუ კაბინეტისთვის დაწესებულების ბინის კვადრატურა არ გყოფნის, შტატი შეამცირე, თითო ნაგდასთან ორი კაცი დასვი, უკაბინეტოდ კი ნუ დარჩები.

გაჩარხავ თუ არა კაბინეტის საქმეს, მთხოვნელთა მისაღებად კვირაში ორი დღე დააწესე, მიღების ვადად—ორი საათი. სხვა დროს არავინ შეუშვა კაბინეტში. მისაღებ საათებში კი კაბინეტში ნუ გაჩერდები. ნოახლოვდება თუ არა მიღების დრო, განაცხადე. რომ ტრესტში გამოგიძახეს და მეორე კარებიდან გაიპარე.

თუ გაპარვა დაგეზაროს და მთხოვნელები მიილო, მთავარია თავის დაჭერა. ვთქვათ რომელიმე ძველი ნაცნობი შემოვიდა.

—გამარჯობა, სოკრატ ენუქი!—გეტყვის ის.

არ უპასუხო. სკამი არ შესთავაზო. გვიან ასწიე თავი მაღლა და ჰკითხე:

—რა გაგჭირვებია, ბიჭო?

მოსული აგიხსნის თავის გაჭირვებას. თუ მისი დახმარება შენს ნაცნობს ეხება, წერილი მიუწერე და ვიდრე წერილი ნაცნობამდე მიაღწევს, შენ ტელეფონით აცნობე, რომ წერილის მიმტანის თავიდან მოცილება გინდოდა. თუ მოსულის დახმარება მხოლოდ შენ გეხება, როგორმე შემდეგისათვის დაიბარე. ვიდრე შენამდე მეორედ მოაღწევს, იცადოს, კარგ დროს გაატარებს!

ავტორიტეტი რომ განიმტკიცო, თანამშრომელთა პირობების გაუმჯობესებაზე იფიქრე. კიბის ქვეშ საპარიკმახერო გახსენი, სახურავის ქვეშ—ფეხსაცმელების სახელოსნო, სარდაფში—ბუფეტი. ჰამა-სმა უფასო გექნება, ფეხსაცმელში ფულს არ დახარჯავ, თმწვერის მოვლა კაპიკი არ დაგიჯდება.

რბილი მანქანა ერთი ათად ზრდის ავტორიტეტს. თუ ასეთი არც ნომენკლატურით და არც მწყალობლობით არ გეკუთვნის, რაიმე მიზეზი გამოიხატე და განგაში ატეხე—დაწესებულებას საბარგო მანქანა სჭირდება—თქო. ეს განდიდების არავითარ ექვს არ გამოიწვევს. საბარგო მანქანას რომ მიიღებ, ისეთი შოფერი აიყვანე, რომელსაც საკუთარი რბილი მანქანა ექნება. საბარგოს ბენზინის ლიმიტი რბილზე გამოიყენე, რბილი საკუთარ საჭიროებაზე. შენც ისარგებლე, შოფერიც ისარგებლე.

კრებაზე სულ „კრიტაკა“ და „თვითკრიტიკა“ იძახე. ყველა თანამშრომელი გააკრიტიკე. შენ თუ ვინმემ გაგაკრიტიკოს, მეორე დღეს რომელიმე სასწავლებელი გამოიხატე და, სამჯერაც რომ ჰქონ-

დეს დამთავრებული, გამკრიტიკებელი მეოთხედაც გაგზავნე. თუ ხანში შესულია, ასაკადაცილებული, „დააწინაურე“ და სხვა დაწესებულებაში გადაიყვანე. თუ არ დაგეთანხმოს, მოხსენი „როგორც შეუფერებელი“.

ავტორიტეტის ზრდისათვის სანადიროდ სიარული ისევე აუცილებელია, როგორც მაღლა ყურება. იქ, სანადიროდ ყოფნის დროს, ხშირად ხდება რანგების გათანაბრება. საკმარისია შენზე დიდს ერთი მწყერი მოუკლა, მეორე დღეს ორი ათას ჰათამს გაჩუქებს, ფერმის გამგედ დაგაყენებს...

თანამდებობას რომ იშოვნი და ცოტა ხანი გაივლის, თავს სხვანაირად იგრძნობ. ნაცნობებს რომ აღარაფრად ჩააგდებ, ეს არაფერია, მალე ცოლიც აღარ მოგეწონება. კარგად დაფიქრდი. შეიძლება ძველი გაუშვა, ახალი, უფრო ლამაზი ითხოვო, მაგრამ ძალე მას, ახალს, შესაძლებელია თვითონ დასჭირდეს შენი გაშვება და ძველიც დაკარგო.

—მართალია, მართალია,—წამოიძახა ბაგრატამ,—ხომ შეიძლება თანამდებობიდან მოგხსნან, მერე რას შერები?

—მოხსნისაც არ უნდა გეშინოდეს,—განაგრძო ენუქამ,—ჰკვირვანი კაცი უთანამდებობოდაც კარგად იცხოვრებს. მე, მაგალითად, ექვს თვეს რომ ტრამვაის ლიანდაგზე ქვიშის დამყრელად გამიშვა, ავშენდები. ქვიშა ხომ სახლს აშენებს!


—ეგ თბილისში, სხვაგან რომ ტრამვაი არ მუშაობს?—ჩაურტყა სოკრატამ.

—სხვაგან? სხვაგან რა ჯანდაბა გინდათ! იქნებ თბილისიდან სადმე რაიონში წასვლას და იქ ცხოვრებას ფიქრობთ! არ გაბრიყვდეთ! ყური დამიგდეთ, ახლა მაგაზე გესაუბრებით...

მ. ივანიშვილი

სახელდახლოდ მოგონილი ანდაზები

ნახ. მ. აბაშიძის



— ცოტა ჰამე, ჩემო ლამაზა, ცოტა! ნათქვამია — ცოტას ჰამა რგებსო, ბევრისა სწყენსო.




— ბევრი მოიწველე, ჩემო ლამაზა, ბევრი. ხომ გავი-
გონია — ძროხა მკლუო, ბევრი რძეო.



— იმისთანა მაღაზია ბევრი მინახავს, რომ მყიდველი არა ყავდეს, უგამყიდველო მაღაზიას კი პირველად ვხედავ!.. მიდი და ახლა ეჩხუბე კედელს!..



ზარიაეზი ნიანგი



საყვარელო ნიანგო!

ამ დღეებში ჭიათურელებს შენი ტელეფონის ზარი მოგვესმა. კითხულობდი—რა არის ახალი ჭიათურაში? ვიჩქარი გიპასუხო: ახლა ჭიათურაში ახალი—აკრობატიკით გატაცებაა. იმის გამო, რომ აქ გაჩერებასთან ავტობუსებისა და სამგზავრო ავტომანქანების გამოჩენა იშვიათი მოვლენაა, ყველა გარბის, ყველა ხტება. ყველა მანქანას მისდევს. უმეტეს შემთხვევაში მოქალაქეებს მაღაროს გასამაგრებელი ბიგებით დატვირთული მანქანით უხდებათ მგზავრობა და ამ საშუალებით გადაიან წვრთნას აკრობატიკაში.

ამ ბოლო დროს ავტომანქანებიც ძლიერ გააქტიურდნენ სპორტში. ისეთ აკრობატულ ნახტომებს აკეთებენ, რომ ნახო, ალტაცებული დარჩები.

ვიცი, დაგაინტერესებს—როდის მოაწესრიგებენ მგზავრობის საქმეს ჭიათურაში. ალბათ, მას შემდეგ, რაც ყველა მანქანა ნიილებს სპორტულ თანრიგს, ხტომაში დამყარებული რეკორდების მიხედვით, და წესიერი მიმოსვლის განრიგსაც ჩაიბარებს. ჩამოდი, საყვარელო ნიანგო, აკრობატიკა არ გაინტერესებს?

ს. ოზარიძე

ახსანგო ნიანგო!

როგორც მახსოვს, შენ სხვადასხვა სამკაულთა ნიმუშებს აგროვებდი. უცნაურია, მაგრამ თოკის ნაჭრების, ძველი წინდებისა და მწერების კოლექციაც გქონდა.

თუ ამგვარ კოლექციონერობას კვლავ განაგრძობ, ჩამოგვიარე ზუგდიდში, პურკომბინატის საცხოვში, ორიოდ ნაჭერ პურს გიყიდი და, შიგ რამდენიც გინდა. იმდენ „სამკაულს“ ნახავ.

ჩვენს საცხოვში ტექნოლოგიური და სანიტარული წესების დარღვევის ფაქტები ძალიან ნუ გაგაკვირვებს, ნურც საზელ განყოფილებაში ჭერიდან ჩამოკიდებულ ობობას ქსელს ჩამოგლეჯ, თორემ მასში გახლართული მწერების ცომში „ჩამატებას“ ხელს შეუშლი, ხოლო თუ უფრო მჭევრმეტყველი ფაქტების დადგენას მოისურვებ, გაეცანი მომხმარებელ ვეკუას მიერ პურში აღმოჩენილ სხვადასხვა „სამკაულს“ და კოლექციას ნამდვილად „გაიმდიდრებ“.

ბ. ალი

ძმაო ნიანგო!

საქნავთის ახალი საცხოვრებელი სახლები თუ გინახავს, ალბათ, დაბლიდან მაღლა ახედავდი და სართულებს დათვლიდი.

ამ დალოცვილ სიმაღლეზე, შენც კარგად იცი, ლიფტებით დადიან. ეს ექნებოდათ მხედველობაში საქნავთის ახალი შენობების ამგებთ, როცა ჩვენს მშვენიერ შესასვლელებში მშვენიერი ლიფტები გამართეს.

სიტყვას „გაზართეს“ პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებ, აქ, ალბათ, გართობას გულისხმობდნენ ისინი: ესე იგი, ჩამოჰკიდეს ეს აღმა-დაღმა მფრინავი კარადები, უყურებენ და ერთობიან თუ როგორ ჟანგდება მათი მოწყობილობა.

ჰკიდა, ძმაო ნიანგო, ეს ოთხი საღსალამათი ლიფტი, და მათი შემხედვარე ათეულობით ამსვლელ-ჩამსვლელი გულში მჯილის ცემით იმეორებს:

— რა ეწოდება ასეთ უთავბოლობას?

შენ რას იტყვი, ძმაო ნიანგო? ჩვენის აზრით კი უთავბოლოობას ამ შემთხვევაში სხვა განმარტება არ ესაჭიროება.

საქნავთელი

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 15, ხელმოწ. დასაბ. 16/VIII-1955 წ. ქაღ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 137. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შვედ. № 1270 უფ 05869 ტირ. 25.000

შვილობა

საქართველოს სსრ-ის შრომის და სპორტის მინისტრის განკარგულებაში
№ 251
26/11/55
1955



უნებლია რეკორდის წინ

ა ნ უ

არასპორტული რევიზორი და „სპორტულ“ დაბრკულებათა გადალახვა.